ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №239

ქ. ვანი 22.12. 2023 წელი

თვითმმართველი ერთეული ვანის მუნიციპალიტეტი, (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი ვანის მუნციპალიტეტის მერის ალექსანდრე გოგორიშვილის სახით და მეორეს მხრივ ინდ. მეწარმე თენგის კაცაძე, (შემდგომში - მიმწოდებელი), გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]“ ქვეპუნქტის, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება) შემდეგზე:

1.შესყიდვის საგანი და ღირებულება

1.1 ხელშეკრულების საგანი: სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის, საახალწლოდ სხვადასხვა სახის საკვები პროდუქტების შესყიდვა

CPV	პროდუქტის დასახელება	განზომილება	ერთეულის ღირებულება	რაოდენობა	სულ ღირებულება
15831000	შაქარი	კგ	2.80	300	840
15411210	ზეთი	ლიტრი	4	200	800
15612100	პურის ფქვილი	კგ	3	500	1500
15821150	ორცხობილა	კგ	10	100	1000
15842100	შოკოლადი	კგ	15	100	1500
15982000	ლიმონათი	ცალი	1,70	300	510
15530000	კარაქი	შეკვრა	3	100	300
15511600	შესქელებული რძე	ცალი	3,50	200	700
18900000	შეფუთვა	ცალი	3,50	100	350

CPV 15400000- 800 ლარი, CPV 15800000- 3340 ლარი, CPV 15500000- 1000 ლარი, , CPV 15600000-1500 ლარი, CPV 15900000-510 ლარი, CPV 18900000-350

1.2 სულ ხელშეკრულების ჯამური ღირებულება 7500,00(შვიდიათას ხუთასი) ლარი.

2. საქონლის მიწოდება

2.1 საქონლის მოწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2023 წლის 28 დეკემბრის ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

3.1 მიღება-ჩაბარება განხორციელდება საქონლის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის გაფორმების შემდეგ, რაც ასევე ადასტურებს მიმწოდებლის ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

3.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილია ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცილი და შესყიდვების სამსახურის მოსამსახურე მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში.

4. ანგარიშსწორება და ვალუტა

4.1 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო (ლარებში).

4.2 ანგარიშსწორება განხორციელდება წერილობითი მომართვის, შესრულებულ მომსახურებაზე წარმოდგენილი მიღება–ჩაბარების აქტის, საგადასახადო დოკუმენტაციის გაფორმების
შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

5.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

5.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში

5.4 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს მომსახურება იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 2.1 პუნქტში.

6. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

6.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარე ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ ხელშეკრულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

6.2 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვის ,,მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით

6.3 ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 10%-ს ოდენობით.
6.4 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

7.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
7.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398– ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

8. დაუძლეველი ძალა

8.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი და უძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2024 წლის 31 იანვრის ჩათვლით

„შემსყიდველი“

ვანის მუნიციპალიტეტი

მის: თავისუფლების ქ. N65
ს/კ229653256
სახელმწიფო ხაზინა
TRESEGE22

ალექსანდრე გოგორიშვილი

Aleksandre Gogorishvili 17001000621
Digitally signed by Aleksandre Gogorishvili
Date: 2023.12.22 17:35:43

„ მიმწოდებელი“

ინდ. მეწარმე თენგის კაცაძე
ვანის რაიონი სოფ. ზედა ეწერ-ტობანიერი
მე-9 ქ. N6

საიდენტიფიკაციო ნომერი 17001009726
ა/ანGE09TB7913645061100049
TBCBGE22

თენგის კაცაძე

Tengis Katsadze
Digitally signed by Tengis Katsadze
Date: 2023.12.22 17:34:00